ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 23 0001297453

04/10/2023

სსიპ- თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლას (ს/კ: 231263842) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.
2. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 4).
3. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლასმოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 ოქტომბრის N1295772 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა